საქართველოს პრეზიდენტის
ადმინისტრაციის უფროსი

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციაში საჯარო ინფორმაციის გაცემის მდგომარეობის შესახებ

2025 წლის ანგარიში

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია (შემდეგში – ადმინისტრაცია) საჯარო ინფორმაციის გაცემისას ხელმძღვანელობს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით, „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონით, „საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონითა და საქართველოს სხვა შესაბამისი სამართლებრივი აქტებით.

საანგარიშო პერიოდში საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით ადმინისტრაციაში რეგისტრირებულია 37 წერილობითი განცხადება. აქედან, 13 მოთხოვნა დაკმაყოფილდა, 3 განცხადება დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, 8 ვერ იქნა დაკმაყოფილებული რადგან მოთხოვნილი ინფორმაცია არ აღმოჩნდა დაცული ადმინისტრაციაში. დღეის მდგომარეობით დამუშავების პროცესშია 13 განცხადება.

საჯარო ინფორმაციაში შესწორების მოთხოვნა ადმინისტრაციაში არ შემოსულა და, შესაბამისად, მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე გადაწყვეტილება არ ყოფილა მიღებული. საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის შესახებ განმცხადებლებს შორის არიან როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირები.

საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით შემოსული მოთხოვნები ძირითადად შეეხებოდა საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებებსა და განკარგულებებს, ასევე საქართველოს პრეზიდენტისა და ადმინისტრაციის კომპეტენციის ფარგლებში მიღებულ სხვადასხვა გადაწყვეტილებას.

კანონმდებლობით დადგენილი წესით ადმინისტრაციაში განსაზღვრულია საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურე, რომელიც უზრუნველყოფს შემოსულ კორესპონდენციაზე სათანადო რეაგირებას. ამასთან, საანგარიშო პერიოდში არ დაფიქსირებულა საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირის მიერ კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების რაიმე ტიპის დარღვევა, რომელიც განაპირობებდა მის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის გამოყენებას.

საანგარიშო პერიოდში საჯარო ინფორმაციის გაცემის ან/და გაცემაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილებები არ გასაჩივრებულა.

ადმინისტრაციაში ფუნქციონირებს დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს მონაცემთა ბაზების ავტომატურ რეჟიმში შექმნას. ადმინისტრაციის მიერ პერსონალური მონაცემების დამუშავება ხორციელდება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის დებულებებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად.

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, პრეზიდენტის ადმინისტრაციის ვებგვერდზე გააქტიურდა ელექტრონული ფანჯარა, რომელიც შიდა ველის მეშვეობით შესაძლებლობას აძლევს მომხმარებელს დისტანციურად განახორციელოს ინფორმაციის გამოთხოვის პროცედურა. ამავე სივრცეში გამოქვეყნებულია საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის განცხადების ფორმა.

ქეთევან ბვინიკაძე